



საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საბანანათლებლო პროგრამების კალენდარი



აპრილი-ივნისი
2014

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

პროგრამებზე რეგისტრაციისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

მისამართი: ფურცელაძის 3

ტელ.: + 32 293 16 52

www.museum.ge

პროგრამები არქეოლოგიურ გამოყენაზე

ყორღანების საიდუმლო

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენებზე — ოქროს ფონდსა და არქეოლოგიურ გამოფენაზე დაცულ მასალებზე დაყრდნობით, მოსწავლეები გაეცნობიან და იმსჯელებენ შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის შესახებ. ისინი შეისწავლიან და გააანალიზებენ შემდეგ საკითხებს: რატომ იქმნება გვაროვნული საზოგადოების ნიაღში ტომთა დიდი კავშირები? რატომ ვითარდება ინტენსიურად მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა? რატომ იცვლება დაკრძალვის წესი და სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, მკვიდრდება ყორღანებში დაკრძალვა? მოსწავლეებისავე გაეცნობიან პირველ ოქროს ნაკეთობებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ შუა ბრინჯაოს პერიოდიდან ჩნდება. იმსჯელებენ სოციალური სტრუქტურების ცვლილებებზე.

ოქრომრავალი კოლხეთი

მოსწავლეებს ჩაუტარდებათ მეცადინეობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ოქროს ფონდში დაცული მასალის გამოყენებით. ისინი იმსჯელებენ ძვ. წ-ის XIII-XII სს, ლეგენდარული კოლხეთის, ურარტული წყაროების, კოლხას (ძვ. წ. VIII ს.) და ძვ. წ-ის VI ს-ში შექმნილი კოლხეთის სამეფოს შესახებ; გააანალიზებენ ძველი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი გთავაზობთ 2014 წლის აპრილიდან ივნისამდე მის შემადგენელ მუზეუმებში დაგეგმილი პროგრამების განრიგს.

პროგრამებში მონაწილეობისთვის თქვენ წინასწარ უნდა გაიაროთ რეგისტრაცია შესაბამის მუზეუმში. ამისათვის დარეკეთ მითითებულ ტელეფონებზე.

პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში, შეგიძლიათ მოინახულოთ შესაბამისი მუზეუმის ყველა მიმდინარე გამოფენა. ამისათვის დრო შეგიძლიათ პროგრამის დაწყებამდე, ან მისი დამთავრების შემდეგ გამოყოთ.

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა იცვლება მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. უმეტეს შემთხვევაში, მონაწილე ბავშვების მინიმალური რაოდენობა არის 8, მაქსიმალური 25.

პროგრამაში მონაწილეობა ფასიანია. ღირებულება იცვლება პროგრამის სპეციფიკის მიხედვით.

მუზეუმის გამოფენების მონახულება და გიდის მომსახურება წინასწარ შეთანხმებას არ საჭიროებს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი

ტელ.: 2 93 16 52

პროგრამა განკუთვნილია:

მე-9 – მე-11 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წთ.

ჩატარების დრო:

ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს.

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მე-3 სართული

ბერძენი ავტორების ცნობებს, სადაც კოლხეთი იხსენიება ეპითეტით „ოქრომრავალი“; გაეცნობიან ძვირფას ნაკეთობებს ვანიდან, საირხიდან და დასავლეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლებიდან. მოსწავლეები გააანალიზებენ „კოლხური კულტურის“ შექმნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ წინამძღვრებს, დაადგენენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

ქართლის სამეფოს სათავეებთან

მოსწავლეებს ჩაუტარდებათ მეცადინეობა ქართლის სამეფოს შესახებ. ისინი გაეცნობიან მასალებს, რომლებიც უკავშირდება ამ სახელმწიფოს შექმნის, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლისა და ელინისტური სახელმწიფოების ისტორიებს. იმსჯელებენ იმაზე იყო თუ არა საკმარისი მხოლოდ გარე ფაქტორები ქართლის სამეფოს შესაქმნელად, ასევე შეადარებენ მეფე ფარნავაზის და აქემენიანთა სპარსეთის მეფეების- დარიოს I-სა და ქსერქსე I-ის რეფორმებს. მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ ოქროს, ვერცხლის და სხვა ძვირფასი მასალისგან დამზადებულ ადგილობრივ და სხვა ქვეყნიდან შემოტანილ არქეოლოგიურ ნოვთებს, რომლებიც ქართლის სამეფოს სხვადასხვა ცენტრებში – ახალგორში, მცხეთაში, არმაზისციხეშია აღმოჩენილი.

პროგრამები არქეოლოგიურ საგანმშრომლო

აღმოაჩინე ცხოველთა გამოსახულებები ოქროს ფონდში

თემატური ხასიათის პროგრამა გააცნობს მოზარდებს თუ როგორ და რატომ გამოსახავდნენ უძველეს დროში ჩვენი წინაპრები ცხოველთა ფიგურებს. რა მნიშვნელობა ჰქონდა

მათთვის ამ გამოსახულებებს? ბავშვები დარწმუნდებიან, რომ ცხოველთა თემას დეკორატიულ და ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად სიმბოლურ- რელიგიური დანიშნულება ჰქონდა და იმდროინდელი ადამიანის რწმენა-წარმოდგენების სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გაკვეთილი აგებულია სწავლების ინტერაქტიურ მეთოდზე და დასრულდება შემოქმედებითი დავალებით.

წარმოიდგინე წარჩინებული კოლხი ქალი

პროგრამის მიზანია ვანში გათხრილი სამარხის ინვენტარის საფუძველზე მოზარდებმა წარმოიდგინონ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო წარჩინებული კოლხი ქალი. მიმოხილული იქნება მიცვალებულთა კულტისა და რიტუალის თავისებურებები, რწმენა-წარმოდგენები, სამარხში აღმოჩენილი ნივთების მნიშვნელობა და მხატვრული სახე და პარალელები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამარხში აღმოჩენილი ქალის ნივთებს, სამკაულსა და მოსართავს. მაგ. თუ როგორი იყო კოლხი ქალის თავსაბურავი - დიადემა, სასაფეთქლები, საყურეები, მისი ყელსაბამები, სამაჯურები, სამოსი და სხვა. განხილული იქნება ამ ნივთების მხატვრული სახე, მათზე გამოსახული სცენების იკონოგრაფია, ოქრომჭედლობის უნიკალური ტექნიკა - ე.წ. ცვარა. გაკვეთილი აგებულია სწავლების ინტერაქტიურ მეთოდზე და ითვალისწინებს მუშაობას, როგორც ექსპოზიციის, ისე დარბაზში. გაკვეთილის ბოლოს ვთავაზობთ დავალებას: მოზარდები ნანახი მასალის მიხედვით დახატავენ წარჩინებულ კოლხ ქალს ან მოიგონებენ მასზე რაიმე ამბავს.

პროგრამის ხანგრძლივობა:

90 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, პარასკევს 16:00

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, პირველი სართული/ საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

პროგრამა განკუთვნილია:

მე-6 – მე-10 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

90 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, პარასკევს 16:00

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, პირველი სართული

პროგრამა განკუთვნილია:

მე-6 – მე-10 კლასის მოსწავლეთათვის

მითოლოგიური პერსონაჟები არქეოლოგიურ საგანძურში

1. დიონისე

გთავაზობთ დიონისეს მითოლოგიურ თემაზე შექმნილ თამაშებს, რომლებიც გამიზნულია როგორც უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის, ასევე მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის. პროგრამა გთავაზობთ გამოცანებს, რომლებიც ბერძნული და რომაული მითოლოგიის ირგვლივაა შედგენილი.

2. აქტეონი

პროგრამა შედგენილია ოქროს ფონდში დაცული ბეჭდის ირგვლივ, (ბეჭედი ამეთვისტოს ინტალიოთი). რომელზედაც გამოსახულია აქტეონი.

მოსწავლეები გაეცნობიან აქტეონის მითს. მათ საშუალება ექნებათ ისაუბრონ თუ რა განსხვავებაა მითს, ზღაპარსა და ლეგენდას შორის. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან მსოფლიო ხელოვანთა ნამუშევრებს, რომლებიც აქტეონის მითოლოგიურ პერსონაჟს უკავშირდება. მათ საშუალება მიეცემათ თავადვე იმსჯელონ ამა თუ იმ ფერწერული ტილოს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე.

პროგრამა განკუთვნილია:

1-ლი – მე-5 და მე-6 – მე-9 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, პარასკევს 14:30

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, პირველი სართული/საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

პროგრამა განკუთვნილია:

მე-9 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

75 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მე-4 სართული

პროგრამა განკუთვნილია:

მე-6 – მე-9 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, პარასკევს 14:30

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, პირველი სართული/საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

პროგრამები ოკუპაციის მუზეუმში

1. დამოუკიდებლობის წლები

მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში დაცულ არტეფაქტებს, ფოტოებს, საარქივო მასალებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შესახებ; ამ მასალაზე და დამატებით წყაროებზე დაყრდნობით ისინი იმსჯელებენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობებსა და მიზეზებზე, საგარეო (I მსოფლიო ომი, დემოკრატიული რევოლუცია და ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში) და საშინაო ფაქტორების (საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების თუ ჯგუფების დამოკიდებულება ზექვეყნის დამოუკიდებლად განვითარების პერსპექტივებზე) გავლენაზე ამ პროცესების მიმართ; ასევე ბოლშევიკური რუსეთისა და დემოკრატიული საქართველოს ურთიერთობებსა და ქვეყნის ოკუპაციის მიზეზებზე.

2. შეფიცულები

მოსწავლეები ოკუპაციის მუზეუმში დაცული მასალებსა და ტრენერ-მასწავლებლების მიერ მიწოდებულ დამატებით წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებენ საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერების და წევრების მოტივაციას, 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობას და შეაფასებენ დამარცხების მიზეზებს.

3. დაკარგული თაობა?!

მოსწავლეები იმსჯელებენ საბჭოთა კავშირში და შესაბამისად საქართველოში XX ს-ის 30-იანი წლებში მიმდინარე რეპრესიების შესახებ, მეცადინეობა ჩატარდება სამუშაო ოთახსა და ოკუპაციის მუზეუმის გამოფენაზე. გამოფენაზე მოსწავლეები გაეცნობიან შესაბამის ნარატიულ წყაროებს, დოკუმენტებს,

ფოტო და ვიდეომასალას; სამუშაო ოთახში დამატებით წყაროებზე დაყრდნობით, პასუხს გასცემენ კითხვას: შეიძლება თუ არა ვუნოდოთ ამ პერიოდის თაობას დაკარგული? ამ საკითხზე გაიმართება დისკუსია.

4. უღმერთო სახელმწიფო

მოსწავლეები გაეცნობიან ოკუპაციისმუზეუმში დაცულ მასალას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რელიგიების და რელიგიური მოღვაწეების დევნის შესახებ. დამატებით გაეცნობიან ვიზუალურ და ნარატიულ წყაროებს იმავე საკითხის შესახებ. ყველაფერ ამაზე დაყრდნობით გაანალიზებენ და იმსჯელებენ XX-ის 20-30- იან წლებში საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკის შესახებ, შეაფასებენ საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მიზანმიმართულ მოქმედებას ე. წ. “ახალი საბჭოთა” ადამიანის შექმნის პროცესში და როგორ გახდა ანტირელიგიური პროპაგანდა და ანტირელიგიური ორგანიზაციები (მაგ. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“) ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

5. ახალ სამშობლოში

თემა შეეხება XIX-სა და XX-ს-ის I ნახევარში საქართველოში მცხოვრებ გერმანულ დიასპორას. მოსწავლეები გაეცნობიან ოკუპაციის მუზეუმში დაცულ მასალას საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე გერმანელების შესახებ; დამატებით გაეცნობიან (ან თავად მოიპოვებენ) მასალას საქართველოში გერმანული დასახლებების, გერმანელი არქიტექტორების მიერ თბილისში აგებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე საქართველოში მოღვაწე გერმანელი ბიზნესმენების, ლიტერატორების, კულტურის მოღვაწეების შესახებ; გაეცნობიან მასალებს და იმსჯელებენ საქართველოში მცხოვრებ, XX ს-ის 30-იან და 40-იან წლებში რეპრესიების დროს დაღუპულ და გადასახლებულ გერმანელებზე.

საბუნებისმეტყველო განყოფილება

ბუნების მრავალფერობა

მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბუნების ისტორიის კოლექციების განახლებულ ექსპოზიციას. ისინი იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ მეცნიერების რომელი დარგები იკვლევს ბუნებას.

პროგრამა განკუთვნილია:

1-ლი – მე-5 და მე-6 – მე-9 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

90 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, ყოველ ოთხშაბათს

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მე-4 სართული

პროგრამა საბამოფენო დარბაზში

საბრძოლო იარაღის ისტორია

განურჩევლად ასაკისა, ყველა ადამიანი განსაკუთრებული ინტერესით კითხულობს ისტორიულ რომანს და მასში აღწერილ საბრძოლო სცენებს. ისინი კი ვისაც კითხვა ნაკლებად იტაცებს, ასეთივე ინტერესით უყურებენ ისტორიულ ფილმებში ასახულ საბრძოლო ეპიზოდებს. ალბათ გაინტერესებთ საკუთარი თვლით ნახოთ უამრავ ბრძოლაში ნაცადი საბრძოლო იარაღი, გაეცნოთ მისი დამზადებისა და გამოყენების წესებს.

პროგრამა განკუთვნილია:

მე-4 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, ყოველ ხუთშაბათს 14:30

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მე-2 სართული

პროგრამები საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზში

მონეტები და მათი ისტორია

მას ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ და მის გარეშე შეუძლებელია არსებობა. იგი ნებისმიერი ასაკისა და სოციალური წარმოშობის ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანია. მასზე ყველა სახელმწიფოს სიმბოლური გამოსახულებები ანდა ცნობილი პირებია გამოსახული, იგი სხვადასხვა ადამიანთა და კულტურათა ისტორიის მატარებელია და მისი მეშვეობით უამრავი საიდუმლოს ამოკითხვა შეიძლება. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება გაეცნოთ ფულის ისტორიას და თვითონვე შექმნათ ფულის უძველესი ასლები.

ისტორიის ლაბირინთი

პროგრამის მსვლელობისას მოსწავლეები ჩაერთვებიან თამაშში, რომელსაც შეჯიბრის ხასიათი აქვს. აღნიშნული თამაშის დახმარებით, სკოლის მოსწავლეები ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიტყობენ საქართველოს ისტორიის, მეფეთა ცხოვრების და საქართველოს ხელოვნების ისტორიის შესახებ. თამაშში გამოყენებულია ქართველი მხატვრის, გიორგი გეგეჭკორის ნამუშევრები სერიიდან „საქართველოს მეფეები“.

პროგრამა განკუთვნილია:
მე-4 – მე-12 კლასის მოსწავლე-თათვის; სტუდენტებისთვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
90 წუთი
ჩატარების დრო:
აპრილი – ივნისი, ყოველ ოთხშაბათს 14:30
ჩატარების ადგილი:
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

პროგრამა განკუთვნილია:
მე-6 – მე-8 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
60 წუთი
ჩატარების დრო:
აპრილი – ივნისი, ყოველ სამშაბათს 14:30
ჩატარების ადგილი:
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

პროგრამა განკუთვნილია:
მე-7 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
60 წუთი
ჩატარების დრო:
16 და 30 აპრილი, 14 და 28 მაისი, 11 და 25 მარტი, 15:30
ჩატარების ადგილი:
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მე-3 საართული/საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

პროგრამა განკუთვნილია:
მე-8 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
60 წუთი
ჩატარების დრო:
2 და 23 აპრილი, 7 და 21 მაისი, 4 და 18 ივნისი, 15:30
ჩატარების ადგილი:
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

როგორ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ხელნაწერ და ნაბეჭდ ნიგნებს

სამწიგნობრო ხელოვნებას თავისი დიდი და საინტერესო თავგადასავალი აქვს. ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები V-VII სს. თარიღდება. ხელნაწერი ნიგნის შექმნისთვის საჭირო მუშაობა, მეტად რთულ და ერთმანეთზე დამოკიდებულ თანმიმდევრულ პროცესს შეიცავდა (საწერი მასალის დამზადება, გადაწერა, მოხატვა, აკინძვა, შემოსვა). როგორ მოვეყრით ხელნაწერებსა და ნაბეჭდ ნიგნებს, როგორ განვაახლოთ დაზიანებული ნიგნები, როგორ მოვათავსოთ თაროზე და რა პირობები შევუქმნათ - ამისთვის აუცილებელია გავეცნოთ კოდექსის ფორმირების პროცესს, საწერი მასალის რაობას, მათი დამზადებისა და გამოყენების წესებს. პროგრამაში წარმოდგენილია პაპირუსის, ეტრატის, ქალაღის, მელნის და სხვა დამზადების ისტორია და შედგენილობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები, ქართულ წერილობით ძეგლებში არსებული მონაცემები და შესაბამისი ტერმინოლოგია.

როგორ ცხოვრობდნენ ქართველები

გასული საუკუნის 60-70-იანი წლების დოკუმენტური კადრები დღეს უკვე ეგზოტიკური ელფერის მქონე ქართველ მთიელთა ცხოვრებას ასახავს. უფრო ადრინდელ კადრებთან ერთად გაჩვენებთ და მოგიტხრობთ თუ როგორ ინახავდა ქართველი თავისთავადობას, როგორ იბრძოდა, როგორ იღხენდა და წუხდა, ფარიკაობდა, კოშკსა და ქვითკირს აშენებდა, რას ქარგავდა და ქსოვდა, როგორ ადუღებდა ლუდს, როგორ ხნავდა და თესავდა, როგორ ლოცულობდა და უფრთხილდებოდა თავის პატარა კუთხის სიმდიდრეს, გამორჩეულობას და ამავე დროს ქართულობას.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობის სათავეებთან

ევროპის ქალაქთა მსგავსად, თბილისის თვითმმართველობის საკმაოდ ადრეული ტრადიციები გააჩნია. ჯერ კიდევ XI ს-ში თბილისში ჩამოყალიბდა „ქალაქ-კომუნა“, რომლის დროსაც ქალაქს ხალხის მიერ არჩეული 12 უზუცესი მართავდა. ეს მმართველობა შეიცვალა დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის ალების და სამეფო ქალაქად მისი გამოცხადების შემდეგ. მეფემ ქალაქის სამართავად თავისი მოხელე, მოურავი დანიშნა.

1870 წ. 16 ივნისის „საქალაქო დებულების“ გამოქვეყნების შედეგად თბილისმა კვლავ დაიბრუნა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, რაც აისახა ქალაქის სასიკეთოდ გაკეთებული მრავალი საქმით.

სკოლის მოსწავლეები თემას გაეცნობიან ფართო საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობი იმ უნიკალური მასალის საშუალებით, რომელ-იც დაცულია თბილისის ისტორიის მუზეუმში.

პროგრამა განკუთვნილია:

მე-9 – მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

მაისი-ივნისი, ხუთშაბათს 15 სთ

ჩატარების ადგილი:

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, საგანმანათლებლო ცენტრის დარბაზი

დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

პროგრამებზე რეგისტრაციისა და დანვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

რუსთაველის გამზირი 11 (შესასვლელი ალექსანდრეს ბაღიდან).

+ 32 2 15 73 00

www.museum.ge

მექსიკის ხელოვნება: ალქმის მრავალფეროვნება

პროგრამა განკუთვნილია:

მე-6 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

სამი შეხვედრა, თითო 75 წთ

ჩატარების დრო:

აპრილი, ყოველ პარასკევს, შაბათსა და კვირას, დრო შეთანხმებით

ჩატარების ადგილი:

დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

ეროვნული გალერეა ინვესტს სკოლის ასაკის ბავშვებს გამოფენის „მექსიკის ხელოვნება: ალქმის მრავალფეროვნება“ თანმხლებ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ინტერაქტიული, შემოქმედებით აქტივობებზე აგებული პროგრამა მოიცავს ექსკურსს მექსიკის ისტორიასა და სახვით ხელოვნებაში, დაწყებული მაიას ტომისა და აცტეკების ეპოქიდან დამთავრებული მე-20 საუკუნის რევოლუციური მექსიკის თანადრული ხელოვნებით.

პროგრამა შედგება სამი გაკვეთილისგან, სამი განსხვავებული თემა იძლევა ინსპირაციას განსხვავებული პრაქტიკული აქტივობებისთვის:

1. მექსიკური მურალიზმი

ანუ „კედლის“ მხატვრობა, მე-20 საუკუნის „სამი დიდი მექსიკელი მონუმენტალისტი“ - დიეგო რივერა, ვიდა ალფარო სიკეიროსი, ხოსე კლემენტე ოროსკო.

აქტივობა - დიდი ზომის პანოს შექმნა.

2. სიზმრისეული სახეების შექმნა,

სურეალიზმის გავლენა მე- 20 საუკუნის მექსიკის ხელოვნებაზე.

აქტივობა - „სურეალისტური“ კომპოზიციის შექმნა

3. შერეული მედია /კოლაჟი და ასამბლაჟი/

თანამედროვე მექსიკურ მხატვრობაში.

აქტივობა-ობიექტის შექმნა ასამბლაჟის მეთოდით.

იმერეთი-დედაჩემი

საგანმანათლებლო პროგრამა „იმერეთი-დედაჩემი“ (დ.კაკაბაძის ნამუშევრის მიხედვით). მოიცავს დისკუსიასა და სახალისო პრაქტიკულ აქტივობას, რომლის პროცესში მონაწილეები იმსჯელებენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა სასურათო სიბრტყეზე ფიგურისა და ფონის ურთიერთდამოკიდებულება; პეიზაჟი როგორც ჟანრი და ფონი პორტრეტისთვის; პორტრეტული ჟანრის თავისებურებები და სხვა.

თავსატეხის საიდუმლო

ბავშვები გაეცნობიან ფიროსმანის შემოქმედებას, გადახატავენ და დაასათაურებენ მისი ერთ-ერთი ნამუშევრის რეპროდუქციის დეტალს. გაუზიარებენ ერთმანეთს სავარაუდო სათაურებს და არსებული დეტალების მიხედვით შეეცდებიან მთლიანი სურათის შინაარსის ამოცნობას. საერთო დისკუსიის საფუძველზე, მოსწავლეები ფაზელის პრინციპით პატარა დეტალებიდან ააწყობენ ერთიან, დასრულებულ გამოსახულებას.

აღმოაჩინე პოეზია მხატვრობაში

მრავალდარგობრივი საგანმანათლებლო პროგრამა VI-IX კლასის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. პროგრამის მონაწილეები ლადო გუდიაშვილის შემოქმედების მაგალითზე მხატვრობისა და პოეზიის ურთიერთკავშირს აღმოაჩენენ და გაიარებენ, თუ როგორ შეიძლება იქცეს პოეზია სახვითი ხელოვნების შთაგონების წყაროდ.

საგანმანათლებლო პროექტი „აღმოაჩინე პოეზია მხატვრობაში“ თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან შედგება, რომელიც სკოლის მოსწავლეებს მიღებული ცოდნის კარგად გააზრებასა და შემდგომ მის გამტკიცებაში შეუწყობს ხელს.

მონაწილეები ბევრ საინტერესო ფაქტს შეიტყობენ

პროგრამა განკუთვნილია:

1-ლი – მე-3 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:

90 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, ყოველ შაბათს

ჩატარების ადგილი:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

პროგრამა განკუთვნილია:

1-ლი – მე-3 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:

90 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, ყოველ კვირა დღეს

ჩატარების ადგილი:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

პროგრამა განკუთვნილია:

1-ლი – მე-3 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:

90 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი – ივნისი, ყოველ კვირა დღეს

ჩატარების ადგილი:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

პროგრამა განკუთვნილია:

მე-7 – მე-11 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

ყოველ სამშაბათს, 14:30

ჩატარების ადგილი:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

პროგრამა განკუთვნილია:

მე-8 – მე-10 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

რვა შეხვედრა, თითო 90 წუთი

ჩატარების დრო:

შაბათ-კვირა

ჩატარების ადგილი:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის შესახებ. მოისმენენ ისტორიებს თბილისის - „კოეტების ქალაქის“ ყოფაზე. მოსმენილი ამბების თანმდევი ვიზუალური მასალა მათ კარგად აღსაქმელ, მკაფიო სურათს შეუქმნის, მიღებული ინფორმაციის შესახებ.

მხატვარი და ავტოპორტრტი

გაკვეთილი გააცნობს მოზარდებს ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჟანრს - ავტოპორტრტს, როდის გაჩნდა ის და რა გზა გაიარა, რატომ და როგორ ასახავდნენ საკუთარ თავს მხატვრები, რით განსხვავდება ავტოპორტრტი პორტრეტისგან. წარმოდგენილი იქნება ავტოპორტრეტის სხვადასხვა ტიპები, რომლებიც ხელოვნების ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა. განხილული იქნება ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილი ქართველი მხატვრების ავტოპორტრეტები (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, შ.ქიქოძე) და ასევე მათი პარალელები. შემოქმედებითი დავალების სახით მოზარდები დახატავენ საკუთარ თავს ან შეთხზავენ საკუთარი თავის შესახებ რაიმე ამბავს.

სამყაროს თემატური აღქმა ფერისა და ფორმის მეშვეობით

ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი გეპატიჟებათ ეროვნულ გალერეაში სახვითი ხელოვნების ჟანრების თავისებურებების შესასწავლად. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სახვითი ხელოვნების ჟანრების და დარგების, მათი თავისებურებებისა და მრავალფეროვნების გაცნობა ექსპოზიციისაზე წარმოდგენილი მხატვრების შემოქმედების მაგალითზე. თითო შეხვედრაზე საუბარი თითოეულ ჟანრს შეეხება.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი – ქარვასლა

პროგრამებზე რეგისტრაციისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით: მისამართი: სიონის ქუჩა 8 + 32 2 92 32 27 www.museum.ge

თბილისის ყოფა XIX საუკუნეში

თბილისი ყოველთვის იყო აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა თანხვედრის ადგილი. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქალაქის მრავალეროვნულობა ყოფის მრავალფეროვნებას განაპირობებდა, რაც უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდიდა თბილისური ცხოვრების წესს.

თბილისელთა ყოფისა და კულტურის ამსახველი მასალა მოსწავლეების წინაშე კოლექციებად (ლითონის, კერამიკის, ხის, იარაღის, ქსოვილების, ფაიფურის, მინის) არის წარმოდგენილი, რომელთა გაცნობის შემდეგ მათ ეძლევათ შემოქმედებითი დავალებები. პროგრამა აგებულია სწავლების ინტერაქტიურ მეთოდზე.

ძველი თბილისი და ფიროსმანი

ძველ თბილისის მხატვრული აღქმისათვის არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. ამ ქალაქის კოლორიტი და ყოველდღიური ცხოვრების წესმა შთააგონა და არაერთი ტილო შეაქმნევინა დიდ ქართველ მხატვარს - ნიკო ფიროსმანს. იგი ღრმა ბავშვობაში მოსწყდა თავის სოფელს და გადაინაცვლა ქალაქის (თბილისის) სამყაროში, სადაც მან 50 წელზე მეტხანს იცხოვრა.

საექსპოზიციო დარბაზში, სადაც თბილისური სახელოსნოების და დუქნების რიგია წარმოდგენილი, ცოცხლდება ყველა ის ადგილი, რომელთანაც დაკავშირებულია ფიროსმანის სახელი. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ დუქნები, სადაც მოხდა ფიროსმანის, როგორც მხატვრის ჩამოყალიბება.

პროგრამის დასასრულს მოსწავლეები ასრულებენ შემოქმედებით დავალებებს.

... და აღმოცენდა თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამა „და აღმოცენდა თბილისი“ მოიცავს თბილისის დაარსების და მისი ყოფიერების პირველი პერიოდების შემსწავლელ გაკვეთილებს, სადაც მონაწილეები გაეცნობიან სხვადასხვა პერიოდის ამსახველ ექსპონატებს, ისტორიკოსთა ნააზრევს თბილისის შესახებ და მონათხრობიდან გამომდინარე წარიმართება დიალოგი პროგრამის პედაგოგსა და მოსწავლეებს შორის. პროგრამისთვის განკუთვნილი მასალა შედგება როგორც ექსპონატებისგან, ასევე დამატებითი ვირტუალური მასალისაგან, რომელიც ასახავს თბილისის ისტორიის შესახებ არსებულ დოკუმენტებს, მასალებს, ნახატებს, სხვა არქივებში დაცულ ექსპონატებს. ევროპის და აზიის კულტურის თანხვედრა, ქალაქის ისტორიის განვითარების უმთავრესი ეტაპები მოიყრის თავს გაკვეთილში, რომელიც იმპროვიზაციითაც წარიმართება.

პროგრამის დასასრულს მონაწილეებს საშუალება მიეცემათ დაწერონ მცირეფორმატიანი ტექსტი თბილისის ისტორიის მათთვის საინტერესო ეტაპის ან მოვლენის შესახებ.

ვაშენებთ სახლს

2014 წლის 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს ეძღვნება საგანმანათლებლო პროგრამა „ვაშენებთ სახლს“, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მაკეტები, პროექტები, ესკიზები. ჩატარდება მასტერ-კლასი, სადაც მონაწილეები შეისწავლიან იმას, თუ როგორ შენდება სახლი, ამ პროცესის ძირითად აუცილებლობებს, მოისმენენ გაკვეთილს არქიტექტურის შესახებ.

პროგრამები განკუთვნილია:

მე-3 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი-ივნისი, ყოველდღე ორშაბათის გარდა

ჩატარების ადგილი:

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი

პროგრამა განკუთვნილია:

მე-6 – მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

60 წუთი

ჩატარების დრო:

აპრილი-ივნისი, სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი

ჩატარების ადგილი:

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი

პროგრამები განკუთვნილია:

მე-6 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის

პროგრამის ხანგრძლივობა:

75 წუთი

ჩატარების დრო:

15-25 მაისი, ყოველდღე, ორშაბათის გარდა

ჩატარების ადგილი:

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ციხეში

მისამართი: კუს ტბის ასახვევი 1.
+32 2 93 16 52
www.museum.ge

საუბრები ეკოლოგიაზე

მოვუაროთ ბუნებას - რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობაა ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრისათვის. ქვეყნის მომავლისათვის ზრუნვა არა მხოლოდ მისი კულტურისა და ისტორიის შესწავლაა, არამედ სამოქალაქო აზროვნებისა და ცნობიერების ამაღლება. მოდით ვისაუბროთ ეკოლოგიურ პრობლემებზე და ერთად ვიფიქროთ, თუ როგორ გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ჩვენი გარემო.

უძველესი ადამიანი და მისი იარაღები

სცადეთ წარმოიდგინოთ – როგორ ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები, როგორ ირჩენდნენ თავს, როგორ იარაღებს იყენებდნენ თავიანთ საქმიანობაში, საიდან მჰქონდათ ეს იარაღები, როგორ ამზადებდნენ მათ.

ჩვენი მეცნიერები დაგეხმარებიან ამ სურათების გაცოცხლებაში და საშუალებას მოგცემენ თავად სცადოთ ქვის იარაღის დამზადება!

პროგრამა ერთნაირად საინტერესოა ასევე, პრეისტორიაში და მომიჯნავე სფეროებში მომუშავე სპეციალისტებისთვის.

პროგრამა განკუთვნილია:
1-ლი – მე-4, მე-5 – მე-8 და მე-9 მე-12 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
90 წუთი
ჩატარების დრო:
აპრილი-ივნისი, სამშაბათი-შაბათი
ჩატარების ადგილი:
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრი

პროგრამა განკუთვნილია:
მე-4 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის, სტუდენტებისათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
60 წუთი
ჩატარების დრო:
აპრილი – ივნისი, ყოველ პარასკევს, 15:00
ჩატარების ადგილი:
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრი

პროგრამა განკუთვნილია:
მე-3 – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის, სტუდენტებისათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
120 წუთი
ჩატარების დრო:
აპრილი – ივნისი, ყოველ სამშაბათს 15:00
ჩატარების ადგილი:
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრი

პროგრამა განკუთვნილია:
1-ლი – მე-12 კლასის მოსწავლეთათვის
პროგრამის ხანგრძლივობა:
შეუზღუდავი
ჩატარების დრო:
5 აპრილიდან 29 ივნისამდე, ყოველ შაბათ - კვირას 13:00-დან 17:00 სთ-მდე
ჩატარების ადგილი:
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, საგანმანათლებლო ცენტრი/საჯალაბო სახლი

სახალისო არქეოლოგია

არქეოლოგიური გათხრების იმიტაცია სპეციალურად მოწყობილ მოედანზე მიმდინარეობს. არქეოლოგია რომანტიკული და საიდუმლოებით მოცული პროფესიაა, მაგრამ ამავე დროს დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვს. სწორედ ყოველივე ამის დემონსტრირება ხდება ჩვენს პროგრამაში. როგორ აღადგენს ისტორიულ მოვლენებს არქეოლოგი? ამ კითხვას მოზარდები თვითონ უპასუხებენ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ.

ხალხური რენვის გაკვეთილები

პროგრამის მიზანია საქართველოში ხალხური რენვის ცოცხალი ტრადიციების შენარჩუნება. საერთო გლობალიზაციის ფონზე ხალხური რენვა, როგორც ქვეყნის კულტურის განუყრელი ნაწილი და მისი თვითმყოფადობის, ესთეტიკის გამოხატულება, სულ უფრო აქტუალური ხდება.

ხალხური რენვის გაკვეთილების მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ გაიცნონ ტრადიციული ხელსაქმის ოსტატები, დახელოვნდნენ და აითვისონ ხალხური ხელობის სხვადასხვა დარგები: მე-თუნეობა, დაზგური და ჩხირებით ქსოვა, ტილოზე ნემსით ქარგვა, ხეზე კვეთა, ტრადიციულ მჭედლობა და სხვ.

წინასწარი ჩანერის შემთხვევაში გაკვეთილებზე დასწრება უფასოა.

რეგისტრაციისთვის დარეკეთ ნომრებზე: 2 729 046 ან 599 363 680

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი

რუსთაველის გამზ. №3, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: + (995 32) 299 80 22
ფაქსი: + (995 32) 298 21 33

შლვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

გუდიაშვილის ქ. №1, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: + (995 32) 299 99 09
ფაქსი/Fax: + (995 32) 298 21 33

დემეტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

რუსთაველის გამზირი 11, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ.+ (995 32) 215 73 04 (104; 105)
ფაქსი: + (995 32) 298 21 33

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

კუს ტბის აღმართი №1, 0162 თბილისი, საქართველო
ტელ.: + (995 32) 272 90 45, 272 90 46, 272 90 47
ფაქსი: + (995 32) 298 21 33

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი - ქარვასლა

სიონის ქ. №8, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: + (995 32) 298 22 81, 292 32 27
ფაქსი: + (995 32) 298 21 33

ელენე ახვლედიანის სახელობის სახლ-მუზეუმი

ლეო ქიანჯელის ქ. 12, 0108 თბილისი, საქართველო
ტელ.: + (995 32) 299 74 12

ფაქსი: + (995 32) 298 21 33

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

3200 მესტია, საქართველო
მობ.: + (995 577) 245 512

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი

ყარიჩირაშვილის ქ.1, 0800 ახალციხე, საქართველო
ტელ.: + (995 365) 2 16 22, 2 01 38, 2 03 79
ფაქსი: + (995 365) 5 01 03
მობ.: + (995 577) 500 587

ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმი

ვახტანგ გორგასლის ქ. 24, 1900 ვანი, საქართველო
ტელ.: + (995 432) 2 16 02
მობ.: + (995 577) 500 596

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი

სოფელი პატარა დმანისი, 1700 დმანისის რაიონი, საქართველო
მობ.: + (995 577) 500 571

სიღნაღის მუზეუმი

რუსთაველის ჩიხი 8, 4200 სიღნაღი, საქართველო
ტელ.: + (995 355) 3 2448, 3 2862
მობ.: + (995 577) 245 554



www.museum.ge